შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

09.11.2018 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, როდენი ქ. N 8, იაკობ ნიკოლაძე ქ. N 14, იაკობ ნიკოლაძის ქ. N 12, იაკობ ნიკოლაძე ქ. N 10 (ს/კ: 01.15.03.013.012) მშენებარე სასტუმროს მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე სასტუმრო მდებარეობს **როდენი ქ. N 8, იაკობ ნიკოლაძე ქ. N 14, იაკობ ნიკოლაძის ქ. N 12, იაკობ ნიკოლაძე ქ. N 10 (ს/კ: 01.15.03.013.012)** შენობა 7 სართულიანია, 6 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულით.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში რთული ფორმისაა მაქსიმალური ღერძული ზომებით: 48.10x32.85 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=4.48 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=8.3 მ;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ^2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის საძიკვლის ფილის მეშვეობით ფილის სისქე 800მმ.

შენობას ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება მრავალსართულიანი შენობები (ს.კ. 01.15.03.013.010 და ს.კ. 01.15.03.013.004). ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ერთსართულიანი შენობა სარდაფით (ს.კ. 01.15.03.013.009). ასაშენებელი შენობის ქვაბულის ხაზიდან მინიმალური მანძილი არსებულ შენობებამდე არის 0.5 მეტრი.

კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ხიმინჯების ფარდის მოწყობა ნაკვეთის წითელი ხაზის გასწვრის. ხიმინჯების დიამეტერი 150მმ, ხიმინჯები მიწის ნიშნულზე (+457,72) შეკრულია მონოლითური რკინაბეტობის როსტვერკით რომლის ზომებია 300x400მმ. გარდა ამისა პროექტით გათვალისწინებულია ქავბულის დამჭერი ლითონის კონსტრუქცია ე.წ. გამბრჯენები. შესაბამისი სიგრძის

მილკვადრატებით განივკვეთის ზომებით 140x140x5 რომელიც შეყუდებულია 42⁰-იანი კუთხით, ყოველ 750მმ-ში ხიმინჯოვანი ფარდის გასწვრივ.

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასევე პროექტით გათვალისწინებული ღონისძებების სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს, როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი